

140

1978

საქართველო  
ზინა-მარტი 1978



საქართველო

4  
1978

25 აპრილს ჩვენი ქვეყნის ბელთი, მოსკოვში  
 მუშაობას შეუდგება სრულიად სკაპევირო ახალგაზრდათა  
 ლენინური კომუნისტური კავშირის XVIII ყრილობა



XVIII

მ ი ზ ნ ი ს  
 ე ჯ ი ბ უ ა ე ა ზ



ყრილობის მუშაობაში ჩვენი რეს-  
 პუბლიკიდან წარგზავნილ 101 დე-  
 ლეგატთან ერთად მონაწილეობას მი-  
 იღებს თბილისელი მოსწავლე ნინო  
 დოლიძე.  
 გადავაზობთ ნარკვევს ყრილობის  
 დელეგატზე.

ჩვენ კარგა ხანს ესაუბრობდით  
 სკოლაზე, ამხანაგებზე, კომკავში-  
 რულ ორგანიზაციასა და ახლანახან  
 დამთავრებულ საქართველოს კომ-  
 კავშირის XX XI ყრილობაზე, რო-  
 მელზეც ჩემი თანამოსაუბრე, თბი-  
 ლისის რკინიგზის № 1 საშუალო  
 სკოლის IX კლასის მოსწავლე ნი-  
 ნო დოლიძე საკავშირო კომკავშირის  
 XVIII ყრილობის დელეგატად აირ-  
 ჩიეს.

დღეს ნინოც ისევე, როგორც ყრი-  
 ლობის ყველა სხვა დელეგატი, საბ-  
 ქოთა საქართველოს 70-იანი წლების  
 ახალგაზრდა თაობის ამ ამბულევე-  
 ბელი ფორუმის განწყობილებითა და  
 სულისკვეთებით ცხოვრობს.

წარსულიც გავისვენოთ. როცა ნი-  
 ნო პიონერი იყო, რაზემეულის საბ-  
 ქოს თავმჯდომარეობდა. ეს რაზემეუ-  
 ლი საბქოთა კავშირის გმირის, ვახ-  
 ტანგ ჩიქოვანის სახელს ატარებდა,  
 და პიონერებმა ვადაწყვეტეს მოეზა-  
 ხულებინათ გმირის საფლავი უკრაი-  
 ნაში.

ამბულეველი იყო შეხვედრა იმ  
 სკოლის მოსწავლეებთან, რომლის  
 ფაშისტებისაგან გაქმენდასაც შეეწი-  
 რა ქართული ვაჟკაცის სიკოცხლე...  
 იყო ცრემლები, ყვავილები, ქართუ-  
 ლი მიწა, "იავ-ნანა"...

შემდეგ ნინომ თავის კლასზე მიამ-  
 ბო, რომელშიც ახლა აოცერიოი ორ-  
 ოსანი არ არის. ამ შედეგს მათ შრო-  
 მით, მტკიცე დისციპლინითა და მე-

გობრული ურთიერთდახმარებით მი-  
აღწეის.

გახვებულზე კი ნინო დლოძიე,  
როგორც მოწინავე კლასიკურის  
მღვიანი და სკოლის კომპაქტორის კო-  
მიტეტის მდივნის მოადგილე, მანაც  
„ორლონოკში“ გაავაზვეს.

„ის დღეები, რომელიც თანატო-  
ლებთან ერთად „ორლონოკში“ გა-  
ვებარე, არასოდეს დამავწყუნება...  
მიმბობს ნინო. — შეიძლება ითქვას,  
ეს იყო კომპაქტურული მუშაობის  
სკოლა. კომპიუტერისაგან, ერთმანეთი-  
საგან, უფროსი ამხანაგებისაგან  
ესწავლობდით კომპაქტურული მუშა-  
ობის ავტომატურ საკითხებს. განსა-  
კუთრებით მოგეწონდა პრაქტიკული  
მეცადინეობები, მაგალითად: რო-  
გორ ჩაებარებოდა კრება, რომ მან ყვე-  
ლა კომპაქტურული დაინტერესოს,



ნინო დლოძია

როგორ გავანაწილოთ დავალებანი  
ისე, რომ არც ერთი კომპაქტურული არ  
დარჩეს ავტომატური. მუშაობის  
გარეშე, როგორ ვამოწმებთ სანონ-  
ტრებისა და საქმიანი კედლის გავებით  
და სხვ. იმ ერთი თვის მანძილზე  
„ორლონოკში“ ბევრ დელეგაციას  
გაუწია მასპინძლობა: გვესტუმრებენ  
ბოლნელები, ქუბულები, მათთან  
ერთად ვაყვარდით მეგობრობის მი-  
ტინგებას, ახალგაზრდული სიმღერის,  
ეროვნული ცეკვის საღამოებს, დის-  
პუტებს.

„ორლონოკელთა ცხოველი დანი-  
ტრესება და აზრთა სხვადასხვაობა  
გამოიწვია დისპუტმა თემაზე — „რას  
ნიშნავს, იყო თანამედროვე“. არ  
დარჩენილა ერთი კომპაქტურულიც,  
რომ ამ საკითხზე თავისი აზრი არ  
გამოეთქვა. ცხარე კამათი იყო იმა-  
ზე, არის თუ არა თანამედროვე ახალ-  
გაზრდის ტერიტორიები ზისი და სივა-  
რეთი, ვიტარა და ქარვთის, რაციონ-  
ალიზმი და ნაკლები ემოციები. და

ამ აზრთა ჭილღოში მივედით იმ  
დასკვნამდე, რომ თანამედროვე  
აღმსიანად ჩაითვლება ის, ვინც ეპო-  
ქის შესაფერისად აზროვნებს, ვისი  
ცხოვრების სტილი, აზრთა მიმართუ-  
ლება და ზნეობა სისადავით, სიღრ-  
მითა და სისპეტაკით არის აღმუ-  
დელი.

როცა ელვაპარაკობდით იმაზე, რომ  
ზოგი ჩვენი წინაპარი თავისი პროგ-  
რესული აზროვნებით, მაღალი მო-  
რალითა და საზოგადოების უზენაეს  
სამსახურით უფრო ახლთა ჩვენს  
დროსთან, ვიდრე ზოგიერთი თანა-  
მედროვე, უკლებ გამახსენდა შოთა  
ნიშინაიძის მშვენიერი ლექსი „კო-  
მუნისტები“:

„სწორედ დღევანდელ დღის  
უბრატეებს

და გახლავთ ჩვენი თანამედროვე:

ჭორბანო ბრუნო...  
ბულბა...  
სპარტაკი...  
ბიკი ვაგროში...  
ბერი თედორე...“

ეს იყო იმ დასამახსოვრებელი დის-  
პუტის სათქმელიც, ჩვენი თანამე-  
დროვე პოეტის მიერ ასე სახიერად  
გამოთქმული...“

ნინომ საუბარში ტრაქიეთში მოგ-  
ზაურთადა ახსენა.

— ტურიტად იყავი? — დავინ-  
ტერესდი მე.

— არა, „ტრაქიეთში“ მიმიწვია.  
ფილმ „ნანსტედინის პირველ სიყვარ-  
ულში“ სუხილის როლი შევას-  
რულე, (სუხილი ქალშვილის სა-  
ხელია და „შორეული ცის ვარსკ-  
ვლას“ ნიშნავს).

და აქ გამახსენდა, რომ ეს ცის-  
ფერთვალა და თეთრთვალა გოგონა  
სიღრმე მყავდა ნანახი... დახე, ქარ-  
თულ ფილმში „ჩირიკი და ჩიკოტე-  
ლი“.

გიორგი ლონიძის მაღალიანი ცალ-  
მით აუტრიტაში ცისფერთვალა, შავ-  
წყაშაშა; თეთრყრისა, გაფურჩქ-  
ნულა ვარგა — თეთრუბა — ორი  
მოსისხელი ოჯახი საბოლოოდ შვა-  
რიკა, სიყვარულით დათრგუნა სი-  
აქული.

მონტეგუტისა და კაულტუტების  
მუხბარე ამბისაგან განსხვავებით, ეს  
ბედნიერად დამთავრებული ქართუ-  
ლი ამბავი რეჟისორმა რ. ხოტვაი-  
მა გადაიღო. თბილისში ბევრი ცის-  
ფერთვალა და თეთრი ვარდისფერი  
ყვლილტურბული გოგონა დადის,  
მაგრამ რეჟისორის არჩევანი სწორედ  
ნინო დლოძიეზე შეჩერდა, რომელიც  
მანამდე უკვე ეთამაშა ფილმებ-  
ში — „ბოტები ისამის ქუჩიდან“,  
„უცხო ფონელო“, „ჩირის რბე“...  
გულშაროლა კიდევ არჩევანმა.

„ფილმში ასეთი კადრია: თეთრუ-



ტრის და ლოცულობს. არა და არ  
გამოძლიოდა. მე ცალკე ვერაზობდი,  
რეჟისორი — ცალკე. რეჟისორმა  
ჩრავი მოთხა, მე კი არ დავეთანხმე.  
მამინე იგი გამოწყურა და უნებურად აე-  
ტრდი. ცრემლები — ნამდვილი და  
არა გლიცერინისა (როგორც ხში-  
რად ტრიაან კინოში) — დასაღუეთი  
მცვიოდა.

„ჩქარა, კამერა!“ — დაიძახა რეჟი-  
სორმა. მე ტერიტორი, ისინი მიღებდ-  
ნენ...  
ახლა ამ კადრებს (რომ ვუცქერი,  
ყველაზე ბუნებრივად მეჩვენება...  
— კიდევ ხომ არ მიუწევიახრთ  
რომელიმე სტუდიისა?

— დოკუმენტის სახეობის სტუ-  
დიამ მიმიწვია; იქ იღებენ ოქ პენის  
ნოველს „მეფეები და კომპოსტო“. ამათ  
ზოფინოში წყავლ. შრომითი  
მეთოდის დამთავრების მერე.


— და, ცხადია, კინოსახიობობაზე  
იტენებობ — ვაგულოძე ნინოს.  
დაწმუნებულთა ეყავი, რომ თან-  
მობის ნიშნულ მოსტველად გააიღებ-  
და, მაგრამ ნინო წესში გაიმართა  
და ამაყად მიპასუხა:

— არა, აუცილებლად ექიმი გამო-  
ვალ. ასე უფრო მეტ სარგებლობას  
მოვუტუნა ხალხს.

— ეგრანე? არ მოგეწყინება უმი-  
სილ?

— უპირველეს ყოვლისა — მელი-  
ცინა, შავა ყველაფერი — შემდეგ!  
ნინოს ნათქვამის სიმტკიცეში ვეხს  
ვერ შეიტანდი. ეს ნახე, ვაჟბადა-  
რა, ცისფერთვალა გოგონა რომ-  
ლის სურათები ხშირად უჩრავდა  
გარეკანზე იბეჭდება, მტკიცე ნების-  
ყოფის მქონე ადამიანია.

თუმცა მინის ერთგულება არც  
არის ვსაყვარელი ნინო დლოძისა-  
გან — საქართველოს კომპაქტორის  
ცენტრალური კომიტეტის წევრის,  
საკავშირო ალც XVIII ყროლობის  
დელეგატისაგან.







როი შეხედვით ყველაფერი ბუნებრივი ჩანდა: ახალგაზრდა, ღამაში, ქალაქიანი, აქტიურბურგული ქალბატონი წაქცეულ ბიჭს შიშკალათებულყო და რომედოვდას ჩრახტიან კიბხით იყო გართული: მის მახლობლად ბუნოზე ქალიშვილი იჯდა, წინ ყვავილებით ხავსე კალთა ედგა, გვირგვინს წნავდა და ღლინებდა: „ღლილო, ციხსფერო ყვავილო“. მერე, ყვავილების ფერითა ქალბატონი პალიტრით აღფრთოვანებულმა უეცრად ხმას აუწია: „ყვავილებო, გვირილვ და ლურჯო ღლილო...“

— მანიაშა, არ შეგიძლია ცოტა წუნარად? ასე ხომ ხალხს შეპყრი, — ხმადაბლა უთხრა ქალაქიანმა ქალმა. ქალიშვილმა პირზე ხელი მიიფარა და მიმოიხიდა. ირგვლივ არავინ ჰქანებდა, მარტოოდენ სიო აქანაუებდა ქვავის მწვანე დეროებს. მანიაშამ დუღუნით დაამთავრა გვირგვინის დაწვნი და თავზე მოიბრჯო.

ანა ილიას ასული ნაზად, ჩუპი სევდით შემპურებდა უმცროს დას.

თვრამეტი წელი შეუსრულდა მანიაშას. ახლანა დაასრულა გიმნაზია, ახლანა გაიხადა ფორმის კაბა და წლების მანძილზე მოხერხებული ბავთები მოიხსნა. ახლა გრძელი თეთრი კაბა აცვია ღლიბივით. თუმცა ისიც ედგო, კარგა ხანია. თვრამეტი წლის განმავლობაში იმდენი რამ გამოისცადა, რამდენიც იმ წლებში ულიანოების ოჯახში არავის არ გამოუცდია. რვა წლისამ მამა დაკარგა. ანა მამის ოცდარი წლის იყო. ცხრა წლის მანიაშას გული და გონება საშინელმა მწუხარებამ შეძრა—მისი ძმა სიკვდილით დასაჯეს... ათი წლისამ მწვავედ განიცადა ვალოლიან დაპატიმრება... ხუთი წელიწადი ცხოვრობდა ანასთან ერთად და ყოველდღე გულს უხუთავებდა კარზე ბოჭაულის დაკაკუნება—აღვიღუნე არის თუ არაო პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი გადასახლებული ანა ულიანოვა... ცამეტი წლის რომ გა-



# გაფრთხილება

ზოგა მოსახლენი

მხატვარი ს. ბროსიძე.



ხდა, ახალი მწუხარება დაატყდა თავს — დის, ოლგას სიკვდილი... თვარამეტისა შესრულდა და, მეორედ დააპატიმრეს ვალოდა...

ანას კი სხვა ბავშვობა, სხვა სიმეწიწელი ჰქონდა — ნათელი, უზრუნველი, წიგნებით, ოცნებებით, მუსიკით აღსავსე, შესაძლოა ზედმეტად უზოფოთვლილი, ცხოვრების მიმდე გამოცდილებისათვის რომ არ მომზადა, ამიტომ მომეტე მაშინ, ოცდასამი წლისა, როცა მოულოდნელად ციხეში აღმოჩნდა და იქ ძმის სიკვდილით დასჯის ამბავი შეიტყო.

თოხმეტი წლის მანიაშა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას კითხულობდა, თხომულობდა უკვე ვალოდას წიგნებში „უცხოეთად“: კითხულობდა მარქსს, ლობრო-ლეუბოვს, ბელინსკის, ჩერნიშევსკის. მის ასაკში ანა „აპრობალოდ“ ავტორთაგან მხოლოდ ჰიპარეეს იცნობდა. ანას აქამდე გონებიდან არ შორდებოდა საშას სიტყვები. ერთხელ, ცხრამეტი წლისა რომ იყო, საშას შეეკითხა, ჩემზე რა ნაწილებები შეგიძლიათ? საშამ უთქვამოდა: მიუტოვო: „ნაკვეთული საზოგადოებრივი მრწამსის უქონლობა“: ეს ფრაზა ანამ უბრალო საუკულებრად კი არ მიიღო, არამედ ბრალდებად და სერიოზულად ჩაფიქრდა ცხოვრებაში თავისი ადგილის შესახებ. საშას გავლენით აქამდებოდა მისი საზოგადოებრივი ინტერესები. ახლა იგი მწუხრობდა: „მეშაოთა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ მოსკოვის ორგანიზაციის წევრებად, ის საქმე, რომელზეც ვლადიმერი თავს წირავს, მისი სიციცოლის აზრადაც იქცა. „გადადობ, საშა, შენი პირდაპირობისათვის“. — ფიქრობს ხოლმე ხშირად. ზოგჯერ ერთი სიტყვა უფრო მნიშვნელოვანი და ზეგავლენის მომხდენია, ვიდრე გრძელ-გრძელი შეგონებანი.

პირველად მანიაშამ მოჰკრა თვალი ნადედა კონსტანტინის ასულს. მუცზე წამოხტა, კალთა ჩაიბერტვა და შესაგებებლად გაიქცა.

— გამარჯობაო, ნადედა კონსტანტინოვნა, ჩვენ დიდი ხანია ვიცდით. — მანიაშამ ცხელ ლოყაზე აკოცა ნადედას, როგორც მას უღიანოების ოჯახში ეძახებდნენ. — მე ციხეში ვიყავი ვალოდას სახანაში. მარტოც ვიყავი, დიდი, რა ხანსწილდება? მაგრამ ვალოდას ხალიხიანად იყო, მე ვიტყვითა — აწულებ განწყობილებაც კი. როგორც შეგატყვი, რაღაც დიდ აზრს შეუპყრია და მოუთმენლობა ემჩნევა. მე ძალიან კონსპირაციული ვესაუბრე: ჩემს გვერდით სატუსალოს დარაჯი იდგა. ვალოდას ჩემი ქვეითი კმაყოფილი დარჩა.

— განმრთვალადა? რაიმეს მიტანა ხომ არა თხოვდა?

— ჰყოხა ნადედა კონსტანტინის ასულმა.

— არა, მხოლოდ ესა მთხოვა, თვზის კერძები მეტი მომითანეთო. მე ვუთხარი: ახლა ისეთი სიტუა, თვზი მალე გაუფრთხილ-მეთქი. მან გაიციინა და ამოიხარა, — უმე, რა მიუხედავრელი დავიკ შეყავსო. იტყუა, რაღაცად გულისხმობდა თვზის კერძებსო.

— ეს იმას ნიშნავს, — თქვა ნადედა კონსტანტინის ასულმა, — რომ ის ჩვენგან დაწერლობით ცნობებს ელის გაფრთხილის მიმდინარეობის შესახებ.

ანა ილიას ასულმა გულითადად გადაკიცა ნადედა

კონსტანტინის ასული. გულში კი ვაიფიქრა — ღმერთო, რა დაღლილი გამოიყურება, თვალის უბეები ჩაღმურტებია, როგორც ჩანს. ცოტა სძინავს“.

— ნადედა, იქნებ სული მოითქვათ, წაიხშმოსო? — ჰკითხა ანამ და ჩრდილში დადგმული კალთისაყენ მიუთითა.

— არა, არა, ვადალოთ. ჭერ საქმეზე ვილაპარაკოთ. — მიუთხ ნადედა კონსტანტინის ასულმა. — მოხუცობასგან ფოსტა მოვიდა?

— კი, აგერი! ოპ, რა შიში ეჭამე! გუშინწინ მივედი ციხეში და სარკმელში ვიკიოხე, უღიანოების წიგნი ხომ არ არის-მეთქი. ზედამხედველმა პირქუშად შემომხედა და, როგორც მე მომჩვენა, მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხა: „თქვენი ფიქრები არ არის“. ვიფიქრე: როგორც ანა, ვალოდა ჩავარდა: რძე თუ იყო სქელდა თავისთავად გამუდმანდა ნაწერი; აღბათი პატივობის ვადას მოუმატებენ-მეთქი. მივდიო ღამე თითორად გაჯაოხენ, თან ვეშობიდე, დიდხარ შეგმჩნია ჩემი მშვენიერება. გუშინ ისევ ვაგვიქეცი ციხეში. და წიგნი უკვე დამხებდა. თანაც — გაუტყრლი!

ნადედა კონსტანტინის ასულმა დაღლილად გაიღიმა.

— მახსოვს, ერთხელ ვალოდამ თქვა, არ არსებობს ისეთი უმეპაობა, რომლის ჭინბა არ შეიძლებაოდესო. ჰოდა, ასე ვადაწუვებთა გაეუფრთხინა ციხის ცენზორები — გაუტყრელი ფურცლებში წერდა რბით. ჭოიხებთური საშუალოა აი, მე კი ნამდვილი უბედურება შემეძრებოდა. წინა ფოსტით პარტის პრავარამის განმარტებითა ბარაინა გამომიგანა. წიგნის სტრუქტურის შორის რბით დაწერილი, მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მაგრამ ნაწერი რამდენიმე გვერდზე სრულებით არ ვამუდმანდა. ეტყობა, წინადაწუვებთა რბით წერდა. ხომ არ უტყენ იმ გვერდებს — ვაუთოებდი, ღამისი თავზე ვაბოზობდი; დედაჩემმა ჰოლანდიური ღუმელიც კი გაახრება და მის ცხელი კაფოლზე ფურცლებს ვადაგებდიო. საქმეში ხარ! მხოლოდ მჭკაქალი ყავისფერი ნაკვალევი. ცაღალეული ასოებიდა ვაგარჩიეთ.

მანიაშა შეძრწუნებული, გაფართოებული თვალებით შეტურებდა ნადედა კონსტანტინის ასულს.

— ნუთუ არაფრით არ შეიძლებაოდა ამკითხვა, სათვალეთაც კი არა?

— სათვალე აქ ვერაფერს გიშველის, — მიუტო ანამ, — წარსომიდავინა, როგორ ვაწუვებდებოდი, ნადედა, ამ სიტყვით ღუმელი ვაგარტინათა...!

— მე რა მიშავს, — მხრები აიჩჩა ნადედა კონსტანტინის ასულმა, — მან კი ის ვაგურკვეცილი ნაწერი მახსოვრბით უნდა ადაღვიანოს. იქ თითოეული წინადადება მარაზოგანია, კუადუმბრბო მოვიჭკრებულთი. აგერ, ვწერ, ამა და ამ ამაკვილანდ აქამდე ტკბილი არ გამუდმანდა-მეთქი. შვად ნაწერი, რასაკვირველია, არ ექნება. ვადაეითთ, ვითაყვა, — ნადედა კონსტანტინის ასულმა ჩაწილიანდ წიგნი ამოიღო და ანა ილიას ასულს გაუწერა.

— ვალოდას მახსოვრობის იმედი მაქვს, ის ასე ტრაგიკულად არ შეხედავს ამ ამბავს. ნუ სწუხართ, ყველა-

ფერი მოგვარდება. მაინც რა დარჩა ტექსტიდან? — ჰეი-  
თხა ანა.

— ლიდა ნაწილი — გამოცოცხლდა ნაღვედა კონსტანტინის ასული, — ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი ნაწილი მაინც პარტიის ამოყენების შესახებ. აი, მისი არის: პარტიის მოღვაწეობა ხელს უნდა უწყობდეს მუშათა კლასის ბრძოლას; პარტია მუშათა მოძრაობაში სინათლე უნდა შეიტანოს, დაეხმაროს მუშებს უკვე დაწყებულ ბრძოლაში. ექსპლუატაციას რომ ბოლო მოეცინოს, აუცილებელია კერძო საკუთრების მოსპობა, უნდა შექმნას სოციალისტური წარმოება, ამის მისაღწევად კი საჭიროა, პოლიტიკური დახმავლება მუშათა კლასის ხელში გადავიდეს. ამაში ხელდას იგი პარტიის მთავარ ამოცანას.

— თუ მისწერეთ მას, რძე არ გააზავოს? — ჰეითხა მანიაში ნაღვედა კონსტანტინის ასული.

— კი, რა თქმა უნდა.

— მამ ნუ იღვავთ. ვაღლიანო თუ რამე მოიფიქრა, არასოდეს დადევინდება და ხელახლა დაწერს იმ გვერდებს. ნუ დარდობთ, გეთავა — მანიაში ხელზე ხელი დაადო ნაღვედა კონსტანტინის ასული და თავიველი შეხედა.

ქალშეშლის ამ წრფელმა, კონსტანტინე ეცხება გააკრო დაძაბულობა — ნაღვედა კონსტანტინის ასულს სახე გაუწითდა.

— სწორია არავითარი ტრაკედია არ მომხდარა. საქმე გაბოსწორდება.

— უშეშლად, — დაუდასტურა ანა. — ახლა კი ჰეი-  
ქა რძე და ნაქაპური მიირთვით. დედამ გამოაცხა.

— მართლა შშია. დილიდანვე ფაბრიკებში დავდიოდი, ფულის საქმეა ცუდად.

— კარგე დილხას ვაძლენ მუშები? — ჰეითხა ანა.

— ჯერტეობით საბრძოლო სულსკვეთებია. მთავარობა დახვედულია. ჩემი აზრით, ეს ვადაცა უშედეგოდ არ ჩაივლის, თუმცა შედეგები უკვე ჩანს. მუშების უფრო გაზდილი, ორგანიზებული გახდნენ, იგრძნეს თავიანთი ძალა, თვალსა და ხელს შუა იცვლიბიან, — მგუნებარედ ყველაზე ნაღვედა კონსტანტინის ასული. შემეფე კი დაღლილობა მოერია და ბალახზე დაწვა.

— რა კარგია გარშემო ყველაფერი!

ლურჯ ცხე ფაფუკი ღრუბლები მიმოფანტულიყო. არსის ზეხი სითიერეში ეტობრებოდნენ მათ და მწვანე კენწერობები მალა-მალა მიიწვედნენ. ბალახში თუ ხეებზე მრავალმანი სიცოცხლე ფაჩუნობდა.

— ნეტავი მითიი დღე ასე მამაფა და ღრუბლებს მაყურებინა, — თქვა ნაღვედა კონსტანტინის ასულმა.

— არგულე ყველაფერი სასწაულია. სასწაულია თითოეული ბალახი, თითოეული მუშული. ოღონდ, ჩვენ, ქალბატონები, ვაღვირგით მშვენიერების საყარაოში ჩაწვდომას. ბუნება მარტო რჩეულთათვის კი არ არსებობს, იგი ყველასია, ყველასათვის გასაგებია, ვინც გულქვა არ არის.

— კი მაგრამ, აი გლეხები, ბუნების გვერდით, რომ ცხოვრობენ ისინიც ამჩნევენ მშვენიერებას? ისინი ხომ გაჭირვებისაგან დაბრძანებულნი არიან? — ჩაფიქრებთ თქვა მანიაში.

ნაღვედა კონსტანტინის ასულმა თვალის შეავლო მანიაში. გამოზურცულ შუბლს ქვემოდან ნათელი, ოღონდ ეკლამი თვალბიბი იფურებოდნენ, ასიმტრედილ შავკვრეულმა სახეზე დაწვები შეფაფკვლად, რადაც განსაკუთრებული, კანდიერი სიღამაზე შეგრდა.

— არა, მანიაში, არა ხარ მართალი, — უნებურად „შეზნობით“ მიმართავნ გადავიდა ნაღვედა კონსტანტინის ასული. — მართალია, ამჟველად უძელაზე ღუსტებარად ბუნების მეფე — ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ თავის

მიმე შრომაში, უნუგეშო გაჭირვებაშიც კი არ კარგავს მშვენიერების აქმის უნარს. და ამას იგი, ქვედაფერტი გამახატავს. ავიღო, მაგალითად, ფანტრის რაბინა. თვალს ვერ მოსწევთ, გეგონება, მაქსანტინას რაბინა მაქმანი — ეს ხომ თრთილი, თოვლის ფანტრების, ყვავილების, ფოთლების ზარნიშთა შეხამებაა. ადამიანი ძალიან, ლამაზად იცხოვრობს და იმუშავებს. ამას იგი ბუნებრივსაგან სწავლობს. განა შეიძლება მოუთხოვს საფრენი აპარატი შექმნა, ფრენებში რომ არ ყოფილიყვნენ ადამიანი ღრუბლებამდე ამაღლდა. და აი, შეხედეთ — რუსი კაცი ბნელ, უმეტარ რუსეთში ცხოვრობს. თონსმტერი წლიწარდ გავიდა მას შემდეგ, რაც გოლუბები მოუთხოვს თვითფრინავით პაერში აიჭრა და მინდორი გადაუფრინა, ევროპაში კი აქამდე ამის შესახებ არავინ შექმნილა. რუსი კაცისათვის დაბნახათივითია, გზის პირველი გაკვალავი, პირველი ამომჩენი ფოს. და არავის არა სწამს რუსეთის მუშათა კლასის ნიჭი და დიდად მისია ისე მგუნებარედ, ისე დაბეჭიბებით, როგორც ვლადიმერ ილიას ძეს. მას შეუძლია ოცენა.

— ეს მართალია. ვაღლიანო შეუძლია ნაღვედა და არა ფუქე ოცენა. საშა და ოლია ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, მის გვერდით ივლიდნენ, — ნაღლიანად თქვა ანა.

— ემ, ძალიან მიმძიმს თქვენთან დაშორება, მაგრამ ჩემი წასვლის დროა, — ამოიხრა ნაღვედა კონსტანტინის ასულმა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ანა ილიას ასულს. იგი მიუხედა და მანიაშის უთხრა:

— შენ ნაღვედა კონსტანტინის ასულს თადაული გაუკეთე, მე კი მანამდე კალათას ჩავაღვავებ.

მანიაში მინდორში გაიქცა. ნაღვედა კონსტანტინის ასულმა სწრაფად ჩასურჩულია ანას:

— ვინ იცის, რა მოხდება. მოდა, დაიხსომეთ: „კავშირის“ ყველა მნიშვნელოვან მასალა ჩემს თაბში რომ პატარა მაგიდა დგას, მის ფეხშია დაძაბული. თუ მე დახმავს, ის მაგიდა თქვენსას წაიღეთ. ამ სამალავის არსებობა მარტო ვაღლიანო, დედაჩემმა და მე ციცილი, ამირიდან კი — თქვენც გიცოდინებთ. დედა გაფრთხილებული მყავს, როგორ მოიქცეს. თუ დაშიგობრის ბინის გაყვლის და თქვენ ამით უნდა ისარტყლოთ. ვაგიის გადაწვდაგას რომ დაიწყებდნენ, მიდით ტბით და მაგიდა შინ წაიღეთ; იმ არიულ-ღარეულობაში ამას ვეჩაივინ შენიშნავს. პარტიის პოვარამა და განმარტებოლი ბარბოც იმ სამალავშია. როცა ვაღლიანსაგან ტექსტის დაბოლოებას მივიღებთ, პრკოვსა და ბარათა უნდა ვაწამავდეთ და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დაუფრგანოთ განახილვებოდ. ორგანიზაციების სია და მისამართებიც იქ ინახება, ისინი პარტიის ყრილობის მოსამზადებლად დაგვერდება. მისამართები, ცხადია, დაშვრებულია. შოფრის გასაღები მოლობუკებს ასაღვარება დაიხასილთათვის — თქვენც დედა წაგვწავს. მეორე არავინ გაშობჩა, — თქვა ნაღვედა კონსტანტინის ასულმა და შუბლზე ოფლი შეიმშრალა.

ანა მოუხედა მას და მაგარად აკოცა, როგორც სუაყურელ მეგობარს.

— ყველაფერს ვაკეთებთ, ძვირფასო ნაღვედა. მესმის, რომ ყველა შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყო. მე კი მაინც უტყობის იმდელ მაქვს.

ამსიბობაში მანიაშიმაც შორიბინა თადაული.

— ეს თქვენ, ნაღვედა კონსტანტინოვანა, ჩემი საყურელი დილილობები. კონსტანტინისათვის...



ფლიო ფესტივლების ოცლათწლიანი ისტორიის მანძილზე იგი პირველად უმასპინძლებს ფესტივალს. ... ოქეანის სანაპირო — თეორი სილა, უსაზღვროდ ლურჯი ზღვა და უსაზღვროდ მაღალი ზეცა, პალმების თვალისმომკრელი სიმწვანე, ამაყი მთები, სწრაფი ჩანჩქერები, შაქრის უქვიდგანო პლანტაციები... რესპუბლიკის დედაქალაქი კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით, მექსიკის ყურის ნაპირზე მდებარეობს. იგი ლათინური ამერიკის ერთერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქია — ქათქათა და მზეულები; დიდებული არტიტექტურული ანსამ-

ბლებით, მინითა და ბეტონით ნაშენი ცათამბკენებით დამშვენებული უბის ეიწიო და გრძელ შესასვლელში, თითქოს დადარაქმულნი, დგანან ძველებური ციხე-მურყები — კასტილიო-დელ-მორო და ლა-პუნტა. წინათ აქედან ზარბაზნებით იცავდნენ ქალაქს მეკობრეთა თავდასხმებისაგან. ლა-პუნტასთან თავს იყრის ქალაქის ორი ყველაზე ხალხმრავალი არტერია: პასეო-დელ-მარტი და სანაპირო (მალეონი), რომელიც ქალაქის ძველ, აღმოსავლეთ ნაწილს აერთებს მის დასავლეთ ანალ რაიონთან — ველადოსთან (წი-

# ჰაჰანა- ფესტივალის დედაქალაქი



**3**ავანა — კუბის რესპუბლიკის დედაქალაქი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის დედაქალაქია. ჰაჰანის ისტორია კუბის ისტორიაა, ისტორია კუბელი ხალხის თითქმის ასწლოვანი ბრძოლისა დამოუკიდებლობისათვის... „ჩემმა ხალხმა ბოიკოლები დაღეწა და თავმართული შეეგება თვითუფლებას, გზას დაადგა გამარჯვებათა... აღსრულდა ჩვენი დიდი ხსის ნატერა!“ ამას ამბობდა კუბის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და ეროვნული გმირი ხოსე მარტი. ყოველ ხალხს ჰყავს თავისი საამაუო შეილები, გმირები, რომელთა მაგალითზეც სურს აღზარდოს ახალი თაობა. დღეს ხოსე მარტის სახელობისაა რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაცია. ჰუბა, თავისუფლების კუნძული, პირველი სოციალისტური ქვეყანაა დასავლეთ ნახევარსფეროში. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსო-

ნათ იგი არისტოკრატთა უბანი იყო).

ჰავანის უბის აღმოსავლეთ სანაპიროზე ახილვით თანამგზავი ქალაქები, მკაილი და მწვენიერი აბანო-დღე-ესტე და ალამარი. დღეაქალაქის ულამაზესი რაიონის მირამარის ერთ-ერთ შენობაში ფესტივალის სარგანისაიყო ეროვნული კომიტეტი მოთავსებული. მის მუშაობის ხელმძღვანელობს კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მილიანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მიწისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო რუსი. ფესტივალის შტაბში მუშაობს რამდენიმე კომისია: ფესტივალის პროგრამის, ეროვნული პროგრამის, პროპაგანდის, დელეგატთა მიღების, დელეაქალაქის გაფორმების...

ახალგაზრდობის მსოფლიო ზეიმისათვის მზადება დღეს კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის, პიონერებისა და მონკადისტების (ოქტობრისტების), ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმთავრესი სახსრუნებია.

ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის სათავეში ჩაუდგა შრომით შეჯიბრებას, რომლის დევიზი მოკლეა და მრავალსიტყვილი: „XI ფესტივალი“. შეჯიბრებაში გამარჯვებული მიეცემა უფლება კუბის ახალგაზრდობა წარადგინოს ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმზე.

გამოსაკვამლ მზადდება წიგნების სერია „კუბა — XI ფესტივალის ქვეყანა“. იგი მოიცავლებს გაყენების კუბის ისტორიას. კუბელი ერის ჩამოყალიბებას, აქედრის სტერტიკურისა და ხელოვნების განვითარებას.

კუბელი ახალგაზრდები დიდი ინტერესით ეკიდებიან ახალგაზრდული ფესტივალისათვის მზადებას. ამის მოწოდებს მათი წარტლები ფესტივალის სარგანისაიყო კომიტეტისადმი, რესპუბლიკის განვითარებას და ეურნალების რედაქციებისადმი. ეს არის წერილები იმანზე, თუ როგორ ავობებს სტუმრების მიღება, რომ მათ საკუთარ შეჩქემებ იგრძნონ თავი, ეს არის წერილები ახალგაზრდობის შრომითი წვლილზე, ახალგაზრდათა XI მსოფლიო ფორუმის ფორმის.

...ახლა გაეგრძელოთ ჰავანის დღე-ფესტივალი.

...ვიდვალდინ გვირამბით შეიძლება ჰავანის ყველაზე ლამაზ ქუჩაზე — მებრუნთ ავერინაზე გასვლა (სანაპიროსადმი პერპენდიკულარულ ქუჩებს ავერინდები ეწოდებათ და რი-

გითი ნომრები: აღინიშნებთან, ეს ეურნა-ბალი, ქუჩა-დენდრაიოშია. აქ არის სხენასხვა ჯიშის პალმები, რომლებმაც უსტო ქვეყნებში ეურნა და ვერ იხარეს, აქვეა ამერიკის კონტინენტზე ერთ-ერთი უდიდესი ზოონარქი...

კუბელის სამხრეთით დღე-ფესტივალის ჰავანის ყველაზე დიდი მოედანი — რევიოლუციის მოედანი. მის ცენტრში ხოსე მარტის ძეგლის სუთუნობა ობელისკია აღმართული — შეიძლება ადამიანი ლიფტით მაღლა ავიდეს და წინ ქალაქის ფეოლურისტატი პანორამა გადვამუშავა.

რევიოლუციის მოედანი კუბის დედაქალაქის ცენტრია. აქედან მთელ მსოფლიოს მოეფინა ჰავანის დეკლარაციის სიტყვები. აქ გაიარეს პირველი სამხრეთი პარლის მონაწილეება — მებრუნთა რევიოლუციურმა რაზმებმა. აქ სადღესასწაულოდ აღინიშნა 1961 წელს პლოთონიონში იმპერიალიზმის აღმარებულ ბრბობებზე გამარჯვება. აქ ათალობით კუბელი ეურბებმა სახეობრივ დღეებში. აქ, ამ მოედანზე, 1275 წლის დეკემბერში გაისმა საბჭოთა ქვეყნის მშობრის სოლამის სიტყვები, რომლებიც კუბელ ხალხს ვდასცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამ მოედანზეა რევიოლუციის სასახლე — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის რეზიდენცია. აქვეა რევიოლუციურ შეიარაღებულ ძალთა სამინისტროს შენობა, ხოსე მარტის სახელობის ეროვნული მიბლიოთეკა, ეროვნული თეატრი.

ჰავანის უფინან სამხრეთით მდებარეობს ქალაქის მუშათა რაიონი — სერო. აქ არ ოწვეს თოლიბის ყინელი, არც ოკეანიდან მონაბერი მწუხებ ქარი. აქ სხვა სხუარიც, სხვა რბობი — აქ რბუნუნებს ტრანსპორტი, ფარბიკა-ქარბნების მიღებიდან ოქრება შრომის სუნჭიკვა. აქვეა ლათინურ-ამერიკული სტადიონი, სადაც ცტარტი იბღებს XI მსოფლიო ფესტივალი.

1960 წლის აგვისტოში ამ სტადიონზე გაიმართა ლათინური ამერიკის ახალგაზრდობის პირველი კონგრესი. 6 აგვისტოს, კონგრესის დახტობის დღეს, ფიდელ კასტრომ გამოაცხადა 125 შეჭრის და ხაბოთვადამამუშავებული ქარბნების, ელექტრო და სტრუქტურთ კომპანიების ნაციონალიზაცია.

თუ რევიოლუციამდე კუბაში მხოლოდ შეჭრის ლერწმის მწარბობებელი მსხვილი ჰონტრეკიური მურენიება ბატონობდა, დღეს აქ აწარბობებენ სატელეფონი და ელექტრო-

კაბელებს; მუშობენ მტლერი რევიოლუციის და ლითონგადამამუშავებელი საწარმოები, გემთ დასწავლებელი მიწობი, ქიმიური, ფანტეკული და ფოლადმსამბელო ჯანბნები, დღე-ფესტივალი წამებელი აბილი უწყობი რესპუბლიკის სამრეწველო პროლეტის წარმოების მიხვე.

რევიოლუციის მოედანს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს პავანის უნივერსიტეტი. აქ სწავლობენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნიბარი მებრუნთი, კუბის პირველი მარტისტულ-ელენინური პარტიის დამარბსებელი ხ. ა. მელია, კუბის რევიოლუციის ბელადი ფიდელ კასტროები. ფესტივალის დღეებში უნივერსიტეტის დარბაზებსა და აუდიტორიებში მთელი მსოფლიოს სტუდენტების წარმომადგენლები შეიკრიბებიან. წარმომადგენლები ისაუბრებენ მეცნიერებისა და ტექნიკის საპრობლემო საკითხებზე, და რაც მთავარია, მშვილობის განმტკიცებასა და მენარბნებებზე.

გეგობ რამ ახსოვთ უნივერსიტეტის ყველებს? აქ რევიოლუციამ აბრტეფიფრა თავისი ლოზუნგები: „სამშრობო ან სიკვდილი“ — კუბა — ამერიკის პირველი თავისუფალი ტერიტორია! — „ხალხი სწავლობს — ხალხი იბრბავებს!“. იყო კლტრული — ნიშნავს იყო თავისუფალი!

ჰავანის ძველი უბნის სიახვეა ბულვარი პასეო-დ-მარტის (პრაპო). აქ ვიწრო ქუჩები და ლამაზი მშველბური სახლებია, რომელთა მშველბაში მოჩუქურთმებული აივნები და გალერეით შემოფარგული შიდა ნუბობი — პატოი. საღამოობით აქ უწყური სერობდა ჰავანის მკვიდრი, აქ ყოველწლიურად, შეჭრის ლერწმის (სადრის) მისჯალის აღების შემდეგ იმართება ტრადიციული კარბნავლები. იქვე ახლოს პოლსა-დუ-კარტინდალის მოედანზე დღეს 1674 წელს აშენებული კათედრალი ტაძარი. შაბათობით ტაძართან იბრბება ეროვნული ხელოვნების ნიშნავა გამოფენა-გაყიდვა. მომავალი ახალგაზრდული ზეიმისადმი მიძღვნილი ქწინილუბის შემოსავალი ფესტივალის ფონდში ვადარიკებენ.

პრბიდელ გადის კაბატოლობის დღეებში შენობის ფასადი. ოცეოლუციამდე აქ პარლამენტი იყო, ახლა კი — 1962 წელს დაარბებული კუბის მეცნიერებათა აკადემია. კაპიტოლიუმის მახლობლად ყოფილი პრბიდელების სასახლეა, სადაც 1974 წელს რევიოლუციის ტრეზუმი გაჩნდა. იქვე სულ ახლოს, მუხთადეროს ქუჩაზე, კაბბულ ხელოვნ-

ბათა სასახლეში ინახება კუბის სა-  
ნეითი ხელოვნების ნიმუშთა მდი-  
დარი კოლექცია, აგრეთვე კლ გრე-  
კოს, ტისტორეტოს, ტიკიანის, გო-  
ნის და სხვა დიდი ოსტატების ტი-  
ლოები.

670 პექტარზეა გადაჭიმული პა-  
ენის მცხოვრებთა სიამავე და სი-  
ზარული — ვ. ი. ლენინის სახე-  
ლის პარკი. ხავერდოვანი მწვანე მინ-  
დერები, ვიჯახტური ბორცვები, ბა-  
ბუეების წკრიალა ტყე, დიდალი ზე-  
ლოვანური ტბები — ეს ყველაფერი  
შექმნა დამპროექტებლების, დიზა-  
ინერთა და მშენებელთა ჯგუფმა  
გამოჩენილი არქიტექტორის ა. ქ. სი-  
ნოენეტის ხელმძღვანელობით. მსუ-  
ბუქი პავილიონები ახალაზარდა მო-  
მღერლებისა და ბოეტების საყვარე-  
ლი თავშესაფრელი ადგილია. პარკ-  
ში არის მდიდრული ბიბლიოთეკა,  
საგამოფენო გალერეა, მტკნარი  
წყლის თევზების უსიკალური აკვარი-  
უმი... აქვე შენდება პიონერთა ცენ-  
ტრალური სასახლე, და მალე ლუბი-  
ნის სახელობის პარკს ცისფერი  
და წითლებურეთიანი გოგონებისა  
და ბიჭუნების ერთმეული გაბანლი-  
სება.

ქაქაშა, ფერადოვანი ქალაქია  
პავანა... ქოქოსის პალმის ხეივანე-  
ლის სასასაა სიმწვანეს ერწყმის მსუ-  
ბუქი, გამჭვირვალე პავილიონების,  
კიოსკების, სატელეფონო ყიზობების,  
ნახი ვარდისფერი თუ ვიწროლი ფე-  
რები, ქუჩაში ჩამოსაჯდომი ბურბე-  
ბის ნატფი, აქურული ზეურთმა,  
რომანტიული შუქფარნები...

და ყველაფერ ჩვეულოან ერთად,  
ახლა პავანის ლავარდოვანი ცის  
ფონზე, ყოველ გზისპირის მოჩანს  
ფესტივალისადმი მიძღვნილი ლო-  
ხუნგები, პლაკატები... აი, ფარზე  
ფესტივალის ყვავილია გაშლილი...  
აი, წითლმისურიანი ჭაბუკები და  
ქალიშვილები — XI მსოფლიო ფე-  
სტივალის შრომითი რაზმების წარ-  
მომადგენლები, რომლებსაც შვერ-  
დზე მიზნული აქვთ ფესტივალის  
ემბლემა — გვირგობ... და ამ სიკ-  
რელის, ამ სიხალისის, ამ სიკაქა-  
შის თავზე — შვის ნარინჯისფერი  
ღისკო... მცხეთეინება ახალგაზრდო-  
ბის ფორუმის დედაქალაქს...

მალე ქვეყანა, რომელმაც დასა-  
ვლეთ ნახევარსფეროში სოციალიზმის  
ერას დაუდო სათავე, ხელაშობილი  
და გულგახსნილი შეეგებება მშეი-  
დობისა და მეგობრობის მაცენ ახ-  
ალგაზრდობას.

ე. უსტიჟანინოვა  
ფერწილდანი „კოვიატი“

ბ ი რ ა ბ ი მ ი მ ა უ ა რ ი

# გაზაფხულის ფერები



გაზაფხულის ფერები,  
მღვარებენ ველად,  
გამაშანენ კვირტები,  
ამოიღვანენ ენა.  
დღის ნაბი ალაღებს  
ყვავილებს და ბაზახებს,  
ჩვენი ბაღის მიდამოს  
ავთვალს არ დავანახებთ.



ვრწყავთ და ვუვლით  
ნარვავებს  
შვეფრილებს, პაწიებს,  
თავმომწონე ვარდებმა  
მზრები განზე გაყვანს.

ენმელები, იები  
მზოიკულან მიფებით,  
გადაფინენ მწვანეზე  
ღურჯი დარაიები.

კეკლუცობენ, ხარობენ  
ფურისულა, ცისთვალა,  
— თქვენთან ყოფნა მინდაო, —  
ბალბამ შემოგვივთალა.

ლაშავები, ნაწები  
გვილიმიან შორიდან —  
კელია შუქით გვაოცებს,  
ჭორიკანა — ჭორითა.

ხარისძირას სიყვითლე  
მორგეია სიცვლქით,  
ჩვენს ყვავილარს ემატოს  
სხვა ათასი,  
ის ერთი.

იფარფატოს ფუტკარმა,  
რომ იღვწის და კეთილობს,  
ნექტრით სახსე ფურცლები  
ღიანდაზღ ვფინოს.

დავლოცოს გზა-შარა  
სანილით,  
თაფლის მოსავლით,  
მის საფრენზე ღვრილდეს  
გვირგობები, შრომანი.

სიტკბოსა და სინათლეს  
დავფატოს ხარბად,  
თავის კაბად იგულოს  
თვით გუგულის კაბა.

გაზაფხულის ფერები  
ელვარებენ ველად,  
დედადამწე —  
ღეღაო,  
ამოიღვი ენა.

## ა მ თ ა ნ დ ი ლ მ ე ნ კ ა ლ ი მ ე ი ლ ი

### წვიმა

გემოს უფრო გაუგებ  
ხორბალს, ყურძენს, მროწუელს,  
შენი შრომით მონაგარს,  
შენი ოფლით მოწუელს...  
შენეული გვიჩროს  
სხვის ოქროს და ძოწუელს.

წვიმა დღისით.  
მთელი დამეც  
გასტანს, ისე ცრის.  
ჩამოწოლილ უკუნეთში  
თალი არ ჩანს ცის.



უსულო თუ სულიერი  
მისცემია ძილს...  
ერთი — მხოლოდ  
წვიმა ფხანლობს.  
წვიმა.  
შრიალით წვიმს.

მოელ ხეობაში ეს ერთადერთი სოფელია თოვლიან მწვერვალებთან ასე ახლოს, ზედ საჯინვე კოხუბების უბეში მჭვერული გარშემო სახანა-სათესი მინდვრები და კედლები მთები აკრავს მას.

მთები მუხის, რცხილის, ნეკერხილის და წიფლის უსიკრი ტყით არის დაფარული, აქა-იქ ფიჭვის, ნაძვისა და უსიკრი ვარის ხეებიც გამოერევა. ტყე რომ თავდება, იმის ზვეთი საწვესულო სათიბ-საძოვრები, ტიტველი სერები, ფერდობებზე წიფლი რუხი კლდეები და თოვლიან-ყინულიანი მწვერვალები გემის ერთმანეთს.

გვერდით მდინარე ჩაუდის სოფელს. მდინარე დიდი არ არის, მაგრამ წვიმიანში ისეთი გადარევა სწევია, შთა და ბარი თან მიაქვს.

ლამაზია სოფელი ჩვეუო, პატარა და კოპია. სიმცირე-სიპატარაიეთ სოფელი არ დასაწყენია, მაგრამ ბაბუა ფარს-მანს-არ მისწონს, ჩვეთზე რომ ენეე იტყვის, პატარაო. რა საქმესაც არ უნდა აკეთებდეს, უმაღ თავს მიანებებს ხოლმე და ამის მთქმელს უკმაყოფილოდ მიუგებს:

— პატარა ახლავ, თორემ ადრე ასეც დიდი სოფელი იყო. დიდიც და საყვეროდ ცნობიცი. ზაქსის და რინჩისის შემდეგ, საქართველოში პირველი ელსადგური, სწორედ ჩვე-მურაზე იყო. ელექტრონიტ გაჩაჩახებულს საღამოზე უუცრად რომ თავს წამოსდგომიდი, გაკვირებულდი, ხმაშალა თე არა, გულში მაინც იტყვიდი, ნამდვილად რომელიდაც უცხო ქალაქში მოვხვდი, თორემ ამ ერთადნილ მთებში ამელა სოფელს რა უნდაო. ხომ ხელდავ, რამდენი სახლია კარგამოკეტილი? აქ ყველგან ცეცხლი ენთო და ხალხი ცხოვრობდა მერე, ერთ დასაქცევ დღეს, რამდენიმე კაცს მთა ძეღლად ასატანი ერგნა, სოფლად ცხოვრება კი მოსაწყენი. თვიდან ერთი-ორი იყო ასეთი, მალე იმ ერთ-ორს ბევრმა აუმა მზარი და ბოლოს ქალაქს მიაშურეს, თითქოს იქ იმ დალოცვალ ბარსა და ქალაქი უმროლად და ხელის გაუპრეველად იცხოვრობდეს!

ბაბუა ფარსმანს გული სტკივა, საცერში ჩასმული წყალივით ასე მუერებულად რომ იცვლება ჩვეუო. როცა ბარის-კენ მიზავალი მეზობლები ბერიკაის უკმაყოფილო ბუზღებს გაიკონებენ, უნებურად თვალს არიდებენ მის დაბეჭვიროლ მზრას და თავს იმართლებენ: არც ჩვენ გვიხარია მამაბა-პური ნასახლარის ტიკო-ოხრად მიტოვება, მაგრამ რა გქნაო, დრო შეიცვალა და ჩვენც სხეებივით ასლებურად ცხოვრება გეინდა, ამ მთაში კი ეს არც ისე და არც ასე არ ხერხდებაო.

ბაბუა მოისმენს, ერთხელ კიდევ მწყარად შეხედავს ამის მთქმელს და პირდაპირ მიახლის:

— მიდიხართ? ია და ვარდი თქვენს ზვას! მაგრამ თუ ასლებურად ცხოვრება ვინდათ, რაღა მაინცდამაინც მზანა-რეულ, გაწყობილ ქალაქში ვარბიხართ? არც ვე ქალაქებში იყო ადრე ასეთი, ახლა რომ არის...ისინიც ადამიანების ვარ-ჯამ ქქიაო თვალისა და გულის გასახარად. აბა, ერთი-ორი დღის ზედმეტ შრომას ნუ დაიხარებთ, ასლებურ ყვიდავს ეს ჩვენი ჩვეთიც მოაწყვეთი და ნახათ, ბარსაც და მთასაც, როგორ დამევედეს ასლებური ყოფა და ცხოვრება...

მაგრამ ვის ესმის ბაბუა ფარსმანის! თუმაც სხვებს რაღა უნდათ, როცა შინაურებიც გაუფრინდენ და აღარა სჯილით მისი... ჩვეთიდან გაკრფულ მეზობლებს აღარც მამარები ჩამორჩა. ერთ დღეს მანც სხეებივით ბარს მიაშურა. ახლა ჩვენს ძველ სახლში მარტო მე და ბაბუა ფარსმანი ვცხოვრობთ. მამამ რუსთავში დაიწყო მუშაობა. ბიანს რომ მიიღებს, ჩამოვა და ჩვენ, მე და ბაბუასაც თან წავიყვანას, ასეა დაპირებული. თუმაც ჩვეთიდან წახლავ შე ბაბუა ცივ უპირ-ზეა.

სწორად იტყვის: მართალია, მთაში წელიწადის ყოველ დროს თავისებური სინდელე და გასაჭირი ახლავს, მაგრამ არ იცხოვრებთო, არავინ თქვას. მთელი სიცოცხლე აქ გამი-ტარებია და სხვებზე ნაკლებ არ ვიცი, იცხოვრება თუ არაო.




# ქერსსლები ბულერს ყზრყუნდაგიან

ლინიზირა ლოპანიში

ხატავარი ბ. კლიზაძე

მ. თ. ხ. რ. ა. ა.

ერთმანეთთან პირისპირ შეყრას დანატრებულე, მკაცრად შუბლმკერული მწვერვალები უცხრად განზე გადებოიან. ბუმ-ბუიანი მთების ძლიერ მხრებს დაყრდნობილი კრილა ცა უსასრულოდ მალდა აიწვევა, ჩარჩილული ხეობა ერთმანედ გასართოდება და ათასნარი ყვავილებით მოჩითულ გორაკებსა და ხასხასა ბალახით ამწვანებულ ფერდობებზე შეფენილი ჩვეუო გამოჩნდება.



ბაბუა ფარსმანი მართალია. ჩვეულის კრებული და სუსხიანი ზამთარი თუ შეაწუხებს კაცს, თორემ გაზაფხულზე, საფხულსა და შემოდგომაზე იქ ყოფნას არაფერი სჯობს. ახერხილის მიუ თვალს გააქვებებს თუ არა, ყველაფერი უეცრად გამოიძვლება და გასალისებია... განსაკუთრებით მაშინ, როცა ბალყარულ-ყარაჩაული მწყემსები თავიანთ ცხვარ-ძროხას პირვით-მამისონის უღელტეხილზე გადმოაბატებენ და ნახაზირი საქონელი უცხო ყვევლით მოეფინება ჩვენს მთების საზაფხულო საძოვრებს. მოსავადდულ მწყემსებს ძალიან მოსწონთ ჩვეუ — ამისთანა მშვენიერი, სოფელ-მხრივ შემეული სოფელი მორე არ გვიხანავსო. ეს თქვები-სოფლები კი აქედან რომ არააზნა, ნეტავი ამაზე უკეთეს ადგილზე სად სახლდებიანო.

ჩვენსა და ბალყარულ-ყარაჩაულებს შორის მიმოსვლა და მეგობრობა ადრინდენვე იყო, მაგრამ საძოვებლად ცხვარ-ძროხის გადმობრუნება ჩვენს მთებში უფრო მას შემდეგ დაიწყო, რაც მოსახლეობა ქალაქად და ბარში გაიკრიბა, სოფელი თითქმის ერთიანად დაიკალა და მთელი იქ ხეობაში გახსენებული ჩვეულება კომინა საქონელი ისე თანდათან დაიღია და შემცირდა, როგორც ზაფხულის სიცხე-პაპახაში ბაში უტყეო, მიწველ რიყზე დადებულ ნაკადლი, ხოლო შთაღის, სანარტხის და ღრუბანს თვალუწვიდნელ სათიბ-სოფლებზე უქმად ჩანსა და ჩაბრუნდა გაუთიბავ-მოუთოვებელი მაღასი.

ამ დილთ ბაბუას მისი ძველი მეგობარი, ყარაჩაული მწყემსთა საჩქალ-ბრეგადინდი ალი-ბაბა ხოჯიყეი ეწვიო. — შე სკოლაში მაგვიანდობო და ფაცხაყვებო გავიქეი. ...გაკვეთილი კარგა ხნის დაწყებულ იყო, ღერეფანში რომ ვიბადის ნაბიჯზე განხარდა. კარანს სულ ახლოს ვხივარ და, გარეთ ხმადბლაც რომ დი-ნიურხლოს ვინმე, ყველაფერი მესმის. — ბაბუას ბიჭო, რას ეთებ?! — მიმესხა დარაჯის მკაცრი ხმა.

— აბა... გიო ყოფილა! დიდი ხანია, რაც არ დაგივივინია, აის! — წყნით გავიფიქრე. გიოს დარაჯის შეკითხვაზე არაფერი უთქვამს. აღბათ უსიტყვოდ აიჭურა და დარაჯს ამით ანიშნა, — არაფერს არ ვქებო.

— აბა, რასაა, რომ ღერეფანში დაბოტებ?! გიოს არც ამ შეკითხვაზე გაუცია პასუხი, მაგრამ დარაჯი არ ეშვებოდა.

— აა, მივხვდი, ჩავეძინა და დაგავიანდა, ხომ? გიომ თანხმობის ნიშნად, აღბათ, ახლაც უსიტყვოდ და-უქნია თავი.

— დილაზე ადრე უნდა ადგე. ადრე ამდგარსა კურდღელ-სა ვერ დაეწევა მწყევარიო, — დარიგებით ჩაუნადნა ლუკა დარაჯმა.

— ვერ ავდექი. — თავი ამართლა გიომ. — შესვლა გინდა? — ჰო. დიდი ხანია, რაც გაკვეთილი დავიწყე. — არც ისე დიდი ხანია. გაცდენას, მე თუ შეკითხვა, შუა გაკვეთილზე შესვლაც კი სჯობია, — წააქეხა დარაჯმა.

— რას ამბობ, კაცო, ახლა რა დროს შემოსვლა, სადაცაა გაბოხების ზარი დაირკვება! თანაც ლთა გაკვეთილი გვაქვს, თითქმის ყველა მასწავლებელი აქ არის! — შევიცხადე გუნებაში. გიომ კარი ისე შემოაღო, თითქმის საკლასო ოთახში კი არა, ბნელ გვირაბში შედილა, რომლის ფეგლისს წინასწარი წარმოდგენა არ ჰქონდა, წინ ის ელდოდა.

ქეთო მასწავლებელი დაფასიან იდგა და რთულ ქვეწყობილ წინადადებას ხსნიდა. უსეულოდ ბატრუნული კლასი სულგანაბელი უსმენდა.

კარის კრიალზე მასწავლებელმა ახსნა შეწყვიტა და კარში ხებრულად გაჩირულ გიოს ცერად გახედა. მასთან ერთად

მთელი კლასის გაოცებული თვალები ალქილი დანჭებიერ მიტებრინა გიოს.

გიო დაფრთხა და ის იყო, უკან გაბრუნება დააბრუნე ქეთო მასწავლებლის ხმა გაისმა:

— შემოდო!

შეიხიდა, მაგრამ მანადვე ვერაფერს მიხვდა, სანამ ტიტემ ყურში და ჩაასრუნა:

— რაღა მაინცმადინე დღეს დიავიანე, როცა ღია გაკვეთილი ჩაკვეტიარდა. ამას სჯობდა, სულ არ შემიშვლიყავო!

— დიანეგულა იყო?! — დანეგულა ისე ხმაშალა იყოთხა, მთელი კლასი თუ არა, ნახევარი ბარბი უწყველად გაი-გონებდა.

— კიტე-მასწავლებელი აჩქარებით შემოვიდა კლასში. მას მუდამ ასე სწევია, — ზარი დარეკება თუ არა, უკვე კლასშია და პირდაპირ საქმეზე გადადის. ჩვეულებებისათვის არც ახლა უღალატია. საკლასო რვეულაიც არ აშოუთიანას. შემოსე-ლისთანავე კლასში ჩვეულების შემოქმებას შეუდგა.

სიმატრულ თუ გინდა, იმის გასაგებად, გაკვეთილზე ვინ აკლია, საკლასო ვერნახლის ამოკითხვა სულაც არ არის სა-ჭირო. ადრე კიდევ ჰო, სანამ ბევრნი ვიყავით, მაგრამ რაც სოფლიდან ხალხი გაიკრიბა და ოცდაათშობების ნაცვლად კლასში თერთმეტი მოსწავლე დარჩიო, — თერთმეტი სა-ხელისა და გარის დამასოვრებას რა ვერნალი უნდა. სულ მაღე კი მეც ვიყავი და...

კიტე მასწავლებელმა ჯერ მერხებს თავიდან ბოლომდის უხმოდ ჩამოურა, რამდენიმე მოწევის საშინაო დეკავებზე შემოიწმინდა, მაგრამ სიტყვა არავისთვის უთქვამს. მხოლოდ გიოს მერხთან შეჩერდა და საცამოდ დღე ხანსაც, რვეული ხელში აიღო და ისე შეათავლიყო, თითქმის ჩვეულებრივ რვეული კი არა, რომელიცაა ძველთაძველ სამარშიმ ნაპოვო. პაპირების შეყვარა ყოფილიყო.

კარგა ხანს სინჯა და ამოწვა, მერე გიოს თვალი თვალში გაუყრა და უნდობლად ჭკიობას:

— გიო, გულზე ხელი დაიდე და გულახდილად მითხარ, ვისგან გადაიწერე?

ვიცილდ მერხთანაგან ჰქონდა გადაწერილი, მაგრამ ამას მასწავლებლის როგორ გაუმხელდა!

— არავისგან, მასწ. ვისგან გადავიწერე! — იუარა გიომ. — სოფლის ბოლოს ცეხოვრობ, ჩემთან ახლოს ორთა-ვა, ბოდიში, მასწ. ზურა ცხოვრობს და ის ჩემზე შტერიაო. თორემ მათმეტაკიკამი რაც არის ჩემზე უკეთ იციო!

გიომ და ოთარამ ხმაშალა გაიციხეს. მათ რამდენიმე სხვაც აყვეა.

— შენს თავს მოურე, ჩემს დახასიათებას არავინ გვითხ-სება! — ადგილიდან წამოხდია გაბარებული ზურა. გიო ზურასაკენ შეჩერუნდა, თვალი ჩაურა და ხელითაც ანიშნა, სულელი, რას გაწიწმადი, ეს ისე, ხუმრობით ვთქვიო.

ზურა დაბმობიდა და დაჯდა.

— ხმა! სად გვირია შენი თავი, სკოლაში, თუ დუქან-ბაზარში? — შუბლი შეიყრა და მკაცრად ჭკიობას გიოს კიტე მასწავლებელმა.

— სკოლაში, მასწ.

— მაშე კი არა, მასწავლებელი უნდა თქვა. თანაც უბ-რალიდ მასწავლებელი კი არა, პატივცემული მასწავლებე-ლი-თქო. ასეა წესი!

— მესმის, პატივცემული მასწავლებელი!

კიტე მასწავლებელმა რვეული მერხზე დადო.

— აბა, ერთი, ამდგნს რომ ლაპარაკობ, გადი დაფასიან და ხელახლა ამოხსენისა, რაც რვეულში ასე ჩაიწიწვიყვიბია!

გიო ზღაპრით გავიდა დაფსთან. კოტე მასწავლებელი რვეულებს ამოწმებდა ისევ. გიო იდგა და ელოდა, რის დაწერას მოსთხოვდა — ამოცანის გარდა მაგალითებიც გვერდ-და საშინაო დავალებად.

მასწავლებელმა ბერის რაღაც ანიშნა ხელით, ამით შეგონდა გაკუმს, და გერდიას რვეულს დასწვდა. შერეო ერთს-კან გაიხედა, თითქოს ახლა გაასწენდა, დაფსთან რომ გაი-ბანა.

— აბა, რა ჰქენი, ამოსხენ?

არაო, მოკლედ ჩაილაპარაკა გიომ. კოტე მასწავლებელმა წარბა შეიკრა.

— რატომ?

— არ ვიცი რა ამოხსნა, ამოცანა თუ მაგალითები, — თავი იმართლა გიომ და მასწავლებლის წყენამდგარ მწერას თვლი აარიდა.

— მამუკა, აბა, ამოცანის პირობა უკარნახე, — მიიხრა და კვლავ ბერდიას რვეულში ჩაიხედა.

მე ზეპირად ვუკარნახე ამოცანა და გიომაც უხმოდ დაწერა დაფსზე. შემდეგ ამოხსნა დაიწყო.

ამოხსნას რომ მორჩა, ცარცი დაფის კიდევ ჩამოიღო და უდარდელად გადგა განზე. ბოლოს კოტე მასწავლებელმა ბერდიას რვეულიდან თავი აიღო, დაფას თვლი გადავლო და კლასს დაეითხა:

— აბა, ვინ იპოვის, რა შეცდომა აქვს დამწებულ?

გიოს ამოხსნილ ამოცანას ერთხელ კიდევ გადავკვლე თვალი და ხელი ავიწვი.

— ბერდია, შენ რას იტყვი? — თუმცა ბერდიას ხელი სულაც არ აუწვდია, მაინც მას ჰკითხა. ბერდიამ ჯერ მასწავლებელს შეეხდა, მერე დაფას და რატომღაც გაუბედავად თქვა:

— პატვიცემული მასწავლებელიო, პასუსი სწორად აქვს მიღებული.

— პასუსი კი მიიღო სწორი, ამოხსნის მსვლელობა აქვს არასწორი. აბა, მამუკა გაასწორე, რა უუსუტობაა დამწე-ბული, — მიიხრა კოტე მასწავლებელმა და ბერდიას მხარე უხმოდ დაადო ხელი, დაკვირო. ცარცი ავიღე და გავასწორე: ორგან პლუსის ნაცვლად მინუსი ეწერა, ერთგან — პირიქით.

— ახლა ყველაფერი სწორია! — მთელი კლასის გასა-გონად თქვა კოტე მასწავლებელმა და მერე გიოს მიუბრუნა: — დაჯექი, გიო: ორიანი გვეკუთვნის, მაგრამ ამჯერად ნიშანს ურჩინალები არ ჩაეწირო. ამ ორიანი შე და შენ და-ვიმასხებოდი. კლასიც, რა თქმა უნდა, მაგრამ უკანასკნე-ლად გაფორმებ, თუ მომავალშიც გადაწეროთ კვდები ფონის გაფორმება და დავალებას ყოველდღე არ შეასრულებ, შე-ოთხედნი ორიანს გამოკაყოლებ — დაპირდა და მერე ბერ-დიას მიუბრუნდა:

— ვერ გცოდნია, ბერდია, ნამდვილი მეგობრობა! ამხანა-გის დახმარება თუ გინდა, უნდა აუხსნა და ასწავლო, რაც შენ იცი, თორემ გადაწერინება დახმარება არა, მეგობრის მოტყუება, სიცოცხლისგან ხელის წაბიძგება და წაქეზება. კარ-გი პიონები არც ახასიათებს იქცევა. იგი თვითონ სომ არ ცრუობს, არც სხვას, მით უფრო მეგობრს არ მოუწონებს ასეთ საქციელს. მოუწონებს კი არა და, თუ შეამჩნია, პირ-ველი თვითონ ამხელს, დაგმობს და გაკიცხავს!

ბერდიამ პირი დალო რაღაცის სათქმელად, მაგრამ მასწავლებელმა ხელით ანიშნა, საჭირო არ არისო. მე ყველაზე მეტად იმან გაბაკურვა, როგორ მიხვდა კოტე მასწავლებელი, რომ ბერდიასაცაჲ ჰქონდა გადაწერული.

ზარი დაიწვია. მათამატყვის გაკვეთილი ბოლო იყო, მაგ-რამ შინ არც ერთი არ წაესულვარო. ის დღეს რაზმის შეკ-რება გვერდდა და ყველაზე კლასში დარჩნით.

შეკრება დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ის მერე დროში, ყველაზე მეტი გიოზე იოქა.

რაზმის ხელმძღვანელმა სწავლაში მოსწრებაზე, რომ უნდა პარაკა, აღნიშნა, კლასში ბევრია ჩამორჩენილი. რაზმის ხელმძღვანელმა თავისი სათქმელი უკანასკნელს თუ არა, სკოლის დირექტორმა, თითქოს იქ ჩემს მეტა, ან-ვინ ყოფილიყოს, მაინცდამაინც მე შეიძინა: მამუკა, აბა, ერთი ადგილი და გულანდილად გვითხარი, რა უშლის თქვენს კლასს ხელს, რომ მოწინავე იყოსო.

მეუ რაღაც ვიხსიანდი, რაკი პირდაპირ მეგობრებმა დირექტორი, ადგილი და გულანდილად ვთქვი: ჩვენნი კლასი სწავლაშიც და დისციპლინაშიც მოწინავე იქნებოდა, ზოგი-ერთი ზარმაცი რომ არ გავრცლებდეს და კლასის საერთო აკადემიურ მოსწრებას უკან არ სწევდეს-მეთქი.

ამით მინდოდა ჩემი პასუხი დამემთავრებინა, მაგრამ ჯეო მასწავლებელმა მითხრა, ბარემ კონკრეტულად დაგვიხსნე, ეგ ზოგიერთი მოსწავლე ვინ არისო.

არ მინდოდა ვინმეს დასახელება, ვიციდი, ამით ბევრს ვაწყენინებდი, მაგრამ ყველა სულანაშაული შემოემტყუარა, პასუსი მიელოდნენ.

— ყველაზე მეტად ლეოს, თალიოს და გიოს უჭირთ და ალბათ მალე გამოსწორდებიან-მეთქი. და კიდევ რომ არა-ფერი უკითხაო, სასწრაფოდ დაჯექი.

შემდეგ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ნათულა გაგაშულმა აიღო სიტყვა.

მამუკაო, თქვა მან, ძალანა ეთოდებოდა იმათ, ვინც არც თავის სახელს უფროსობდა, არც სკოლის, კლასის და აშ-ხანაგებოდა.

გიომ, მაგალითად, სწავლაშიც ზარმაცობს და დისციპლი-ნასაც არღვევს — ზოგჯერ იგვიანებს და გაკვეთილიდან გა-შრვავს ან თაილიბობს.

მე გიოს გახედე. რად მართო მე, ყველა მას მისხედე-ბოდა. შევატყვე, გაპარვამე არც ახლა იტყუა უარს...

დირექტორმა ჰკითხა გიოს, მართათა თუ არა, რაც აქ ითქვაო.

მართალიაო, დადასტურა გიომ და პირობაც დადო, გა-მოსწორდებო.

გიომ პირობა ვერ შეასრულა. ის კვირაში ორჯერ ზედხედე კიდევ დაივიანა, არც მეტადინებოთ შეუწუხებია თავი.

ბოდა, კვირის ბოლოს კედლის გაზეთში გამოვიკითხე კარ-რიკატურა მე თვითონ დაგხატე: ლოგინში ნებვივრად წაშო-წილით არჩილად ეძინა. თავს უშედეგებელი, წილოლიბი-ლოლიბანი მამალა ადგა და მივლი სმით გაკვირდა. ადუ, კა-სეო, გაიღვიპე, რა ხანია გათრედა და სკოლაში წასვლა დღე-საც დაგვაგვიანდო, იტყუებინებოდა წარწერა. სასურ მავი-დაზე ორიანებით და რაც მისი დღიური მოჩინა.

მოსწავლეები განც კსეიწენენ კედლის გაზეთს და სიცო-ლით იკვლდებიან.

გიომ კედლის გაზეთს აუარ-ჩაუარა და ვითომც აქ არა-ფერიანი, ხმა არ ამოვიდა. მე ბიჭებთან ვიდექი და მალე-ლედ ვზევრავდი, რას ირამს-მეთქი, მაგრამ კრინტი არ და-უძრავს. მხოლოდ ერთხელ გამოიხედა ჩემკენ და გაბრუნდა. ეგ იყო და ეგ. ალბათ მიხვდა, ამ საქმეში სხვებთან ერთად ჩემი ხელიც რომ ერია. თუმცა ამას რა დღეი მიხვდარა უნ-დოდა. კარავდა იცის, დიდკოლეჯის წევრი რომ ვარ და ჩვენი სკოლის კედლის გაზეთისაც მხატვრულად მუდამ მე ვაფორ-მებ.

მთელი დღე ისე გავიდა, არავის დალაპარაკებია. თავი ისე ეკვირა, თითქოს გაზეთში ის კი არა, სულ სხვა ვინმე გა-მიხეხტათ და გაგამსარაკებინაო.



კლუბში ნანახი ასლი კინოფილმის მინიარსს ვუყვებოდი.

— ისევ გეკოდინება, მგაგრა ვინ დახატა?  
— მე დახატე!  
— მაშ, შენ დახატე, არა?  
— კი!  
— ჰოდა, სამაგიეროდ ახლა მე მოვიხატე მაგ დრენჩინს სახე-პირს და გასწავლი, როგორ უნდა სხვისი სახეყვეთად გამასხარავება!

— აბა, სცადე და ენახოთ, ვინ ვის მისხატავს! — უკან აღარც მე დავიხიე. ბიჭები ახლოს მოვიდნენ და გარს შემოგვეტრებენ. შევიძიებლავდიო, გიოცალი ხელით საყვლოში მწედა, მეორე ხელი სახეში გასარტყმელად შემომიქნია. თავი სწრაფად გაეწიე განზე და ავიცილე. ხელის შებრუნება არ მიცდია, მხოლოდ თავს ვიკავდი, ვეგე მომეშვას-მეთქი. საქმეში ხარ! რაკი ხელს არ ეუბრუნებდი, გონა ადვილად მომერეოდა. ორივე ხელი დამიჭირა, წაქცევა დამიპირა, მაგრამ ადგილიდანაც ვერ დამძრა. შემდეგ წელში შემეიარდა და სარმა დამახვია. ორივენი წაიჭიკვიეთ. ჭიდაობაში ასეთ წაქცევას, როცა არც ერთი არის მოგებული და არც მეორე, ჩვენი სოფლის ბიჭები „დორდადორ“ დაცემას ეხანინ და მოჭიდავეებს უმაღლესეშველებენ. მაგრამ ჩვენ კი არ ვჭიდაობდით, ამიტომ არავის უცდია ჩვენი გემუგლება. ვინ ხოთ ვიყავით ძირს და ხან მეორე.

გაკვეთილები რომ დამთავრდა, თვალი მოვკარი — ოთარა, გიგი, ბერძია და ტიტე გვერდზე გაიხმო და ყურში რაღაც ჩაჩურჩულა, თან ცალი თვალი ჩემკენ გამოსახა.

მივხვიდი, ჩემს წინააღმდეგ რაღაც ვეგმას აწყობდა, მაგრამ, კერძოდ, რას აპირებდა, წინასწარ, აბა, საიდან უნდა მცოდნობდა!

იმ დღეს გაკვეთილების ცხრილი შეიცვალა და იმის გადაწერაში ცოტა შემავაგინდა. ეზოში რომ გამოვედი, მოსწავლეები უკვე გაკრფილიყვნენ და შინ მარტო წამოვედი.

სოფლის სამჭევლოსთან ქვაზე გიო იჯდა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. დამინახა თუ არა, ფეხზე წამოიღდა. შევატყვე, საჩხუბრად იყო მიმზადებული.

არ მესიამოვნა.

ჩხუბის სულაც არ მემშინდა. ვიცოდი, ვერც ძალით დამჯანინდა, ვერც ხერხით, მაგრამ გაოსთან კინკლაობის სურვილი ნამდვილად არ მქონდა. ისე კი, გულში, მეც ჩემებურად მოვემზადე დასახვედრად.

რომ მიეუახლოვდი, მუა ქურაში გამომწვევად გამოვიდა და წინ გადამიდგა.

— სად მიდინხარ? — ვითომ არ იცოდა, სადაც მივდიოდი.

— შინ, — მოკლედ მოვუჭერი და გვერდის ავლა ვცადე. ის კი ისევ წინ ამესვენდა და არ გამიშვა. დიდად არც მე გაუძალანებებია. ოთარა, ბერძია, გიგი და ტიტე მოროპალო ისე იდგნენ, თითქოს ჩვენი ამბავი სულაც არ აინტერესებდათ.

— თუ იცი, დღეს კედლის სახეთში ვისი კარიბატურა იყო?

— ძილისგულა გიოსი, რომელიც გაკვეთილებს არ სწავლობს, ზარმაცობს, დილით დროზე ვერ დგება, კლასში მოსვლას აგვიანებს და პიონერის სახელს არცევენს! — წყნარად, ისე აუღელვებლად ვუთხარი, თითქოს წუხელ ჩვენი სოფლის

ამუგვლებენ. მაგრამ ჩვენ კი არ ვჭიდაობდით, ვინ ხოთ ვიყავით ძირს და ხან მეორე.

ბოლოს, როგორც იქნა, მოვახებრე გიოს ქვეშ ამოღებდა. სურვილი რომ მქონოდა, ერთ-ორ მუტსაც ვუთავაზებდი, მაგრამ არ გავიმეტე.

ის იყო ადგომას ვაპირებდი, რომ ვიკაცის ჩანთა ქვასავით მომხედა ბებემოდი. ვერ მივხვდი, ქვეშ ამოღებულ გიოს ვინ წამოემგვლა — ტიტე, გიგი, ბერძია თუ ოთარა. წვეწამს და ცნობისმოყვარეობამ წამომავალი ზეზე.

სწრაფად შემოვტრიალდი, მაგრამ რომელიმე მათგანის ნაცვლად წინ ნათლვა გაავაშლია ამსვენდა.

— რა ხდება აქ?! — ნათელამ მხოლოდ იმტომ იკითხა, აქ რა ხდება, რომ აღბათ, რაც ენაზე მოადგა, ისა თქვა, თორემ არა დიდი მიხვედრა უნდოდა, რაც აქ ხდებოდა.

— არაფერიც არა ხდება, — რაც შემქმლ ვცადე რაზნის საბჭოს თავმჯდომარის დამწვიდება და მის ბრახიან მზეურას თვალის ავირიდე.


— მამკაც, არა გრცხვებია, რომ ამბობ, არაფერიც არა ხდებაო. ან თქვენ რაღას დაგიდით პირი? — ახლა ვივის, ტიტეს, ბერძიას და ოთარას მიუბრუნდა ნათელა. — დანიერეფათა გულზე ხელები და უსინდისოდ უყურებთ, როგორ ამტვრევენ ცხვირ-პირს ერთმანეთის თქვენი ამბანაგვები.

ბიჭები უხეხურულად შეიმშენენ, აიჭურუნენ. ოთარამ გაუბეღადავ ჩაილაპარაკა:

— ჩვენ... აბა, ჩვენ რა ვქნათ?

— რა და, თუ ამით არა აქვთ მეტი ჭკუა, თქვენ მაინც უთხარით და გაამწვლეთ კიდევ! — მეტი გიოს მეუტყა: — შენ შენსას არ იშლი ხომ? თავის გამოჩენა თუ გინდა, ყოჩაღი ჩხუბში კი არა, სწავლაში უნდა იყო.

— ენად ნუ გაიკრივე! გირჩევია შენს ვახს დაადევ. აქ შენისთანა მატრკვეყვას არაფერი ესაქმება.



— შენთვის არც მოსვლა მიკითხავს და არც წასვლაზე ავიღებ შენიან ნებართვას! — მწერალად უნთხა გიოს ნათესავი. მთერ ჩემთან მოვიდა. მკლავზე ხელი წამავლო და მთხროვა: — წამოდი, მამუკა, შენიან სასწრაფო საქმე მაქვს.

მივხვდი, ნათელამ „სასწრაფო საქმე“ იმითომ მოიკონა, რომ იქურობას გავერღებინე.

